წელიწადი მეორე · ფასი 5 კაპ. · სამშაბათი 16 თებერვალი 1916 წ. · № 36

# საქართველო


ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.
ხელისმოწერის ფასი: ყოველ-ქალაქური სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. [illegible]
განცხადებანი: [illegible]
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ნომრის ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**



პირველი წელი · პირველი წელი

„საქართველო"-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამ თვეში ერთხელ გამოვა

## პაზმული და სამხატვრო კრებული
## „მერანი"

**კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი.** ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.
ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს" რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.
**გაზეთ „საქართველო"-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი" უფასოდ დაურიგდებათ.**

## საგალანტერიო მაღაზია
## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**
**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**
(101—წ.)

## შეშის საწყობი
## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში**
## საკუთარი ტყიდან
**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

## საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
## ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა
**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**
(102—წ.)

## სახალხო სახლი (კ. ზუბალაშვილის სახელობისა)
**სამშაბათს 16 თებერვალს 1916 წ.**
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
## მადამ სან-ჟენ
კომ. 4 მოქ. სარდუსი, თარგმ. კ. მესხისა.
**მონაწილეობას მიიღებენ:** აბაშიძე ტასო, დავითაშვილი ნ. თოიძე ნინო, ქიქოძე ანეტა, ჯავახიშვილი ნ., ჩერქეზიშვილი ნ., სინაურიძე ო., გუნია ვალერიან, გომელაური ზ., იმედაშვილი ალ. იმხნელი გიორგი, მგალობლიშვილი, მამფორია ილ. ჟივიძე იოს., სარაული მ. ვარვარიძე ვ., ანდრონიკაშვილი კ.
**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**
რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი.**
ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.
მორიგი წევრი გამგეობისა: **ნ. ერისთავი.**
**ადგილების ფასი 25 კ.-დან 1 „მან.50 კ.-დე".**
(3—45—3)

## სასტუმრო „ავრორა"
**ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრებ.**
**უაღრესი სისუფთავე.** ელექტრონის განათება
**ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად**
ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებშია.
**თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.**
## სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.
თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.
(წ.—)

**„წითელ წყლის" სადგურთან, სულ რამდენსამე ნაბიჯზე, თვით სადგურიდან, გაიხსნა**
## სასტუმრო ჯუგაანი
**სასტუმრო მოწყობილია სუფთად და ევროპიულად ნომრებით და ბუფეტით**
15—16 პატივისცემით **ნიკო (კოლა) ზურაბის-ძე ზედელაშვილი**

## „ახალი კლუბი"
**ერთი კვირის პროგრამა 15—21 თებრვლამდე 1916 წ.**
**ორშაბათი**—სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკესტრი.
**სამშაბათი**—კონცერტი იტალიანურ ოპერის მომღერალ ქალისა **კარ მენ სოლიარისა** და საიმპერატორო ოპერის ყოფილ არტისტისა **ბერნანდისა.** კონცერტი უფასოა.
**ოთხშაბათი**—სინემატოგრაფი. სიმებიანი ორკესტრი.
**ხუთშაბათი**—ქართული წარმოდგენა. სამხედრო ორკესტრი.
**პარასკევი**—დღისით ლექცია ქართულ კულტურულ საზოგადოებისა. საღამოს სინემატოგრაფი და სიმებიანი ორკესტრი.
**შაბათი**—კონცერტი ახალგაზრდა მომღერალისა **ვარდენ ლორთქიფანიძისა** კონცერტი უფასოა
**კვირა**—საძხე დრო ორკესტრი
**დასაწყისი:** კონცერტებისა საღ. 9 საათ., წარმოდგენისა და სინემატოგრაფისა საღ. 8 საათზე.
კლუბში შესასვლელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ. მამაკაცისა 1--05 კ.,
(6—57—2)

## სახალხო სახლში
21 თებერვალს 1916 წ. **ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით**
წარმოდგენილი იქნება
I
## ბაიყუში
ფარსი 2 მოქმ. ავ. ცაგარლისა
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი მარგველაშვილი, ბ-ნნი ნ. გოცირიძე, გ. იმხნელი, გ. ჯაბაური, რამაზაშვილი და სხვანი.
II რეჟ. **გოცირიძე.**
## საკონცერტო განყოფილება
მონაწილეობენ ქ-ნი ვერა ჯაჯანაშვილი; ბ-ნნი ვ. დიღმელაშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ს. ძიმისტარაშვილი, ვახ. ჯაბადარი და სხვანი.
**დასასრულ გაიმართება ც ე კ ვ ა.**
**დასაწყისი შუადღეს 12 საათზე.** ფასი 40 კ.-დან 2 მანეთამდე.
გამგე **კნ. ჯავახიშვილი.** ადმინისტრატორი **გიორგი ჩუბინაშვილი**
**ბილეთები იყიდება სახაიე „ძმურ ნუგეშში"**
(5—42—3)

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

**ექიმი**
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
**უ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში,** ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
**პროვიზორის ახვლედიანისა**

**კბილის ექიმმა**
## მამულაიშვილმა
**(ხოდნევისამ)**
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

**ექიმი-დოსტაქარი**
## გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

**კბილის ექიმი**
## ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.


## თბილისი, 16 თებერვალი

**შინაური პოლიტიკის საქმიები.**

რაც საქართველომ დამოუკიდებელი პოლიტიკური თვითმართველობა დაჰკარგა, [illegible] დაბრკოლებად გადიქცა და მის ფიზიკურ გაშლას გასაქანი შეუზღუდა.

დღეს კიდევ სავსებით ვერა ვგრძნობთ იმ დიდს უბედურებას, რომელიც საქართველოს მომავალს განუმზადა პოლიტიკურისა და სახელმწიფოებრივის აზრით შექმნილმა ეთნოგრაფიულმა სიჭრელემ; ვერა ვგრძნობთ, რადგან დღევანდელ ქართველ საზოგადო მოღვაწეში ცარიელია ტვინის ის ადგილი, რომელიც მიჩნეული აქვს საზოგადოდ საერთო ეროვნულ პოლიტიკაზე ზრუნვას, ვერა ვგრძნობთ, რადგან დღეს ქართველი კაცისათვის არ არსებობს უნივერსაული საქართველოს ეროვნული პოლიტიკა დ მის გონებას ერთ წუთითაც არ იპყრობს ზრუნვა იმაზედ, თუ რა პრაქტიკულ ღონისძიებით განუმტკიცოს თავის ერის მარადიულ მისწრაფებას მტკიცე სამდინარო. ხვალ, როდესაც ასეთი ზრუნვა პოლიტიკის მორიგ საკითხად გადაიქცევა, როდესაც ქართველ საზოგადოებაში **შეიქმნება** მთელი წყება ხალხისა, რომელსაც მდგომარეობით და მოვალეობით პროფესიად გადაექცევა ამ გვარი ზრუნვა და ყოველ წუთის ფიქრად შეექმნება მთელი ერის დღევანდელი აუცილებელი საჭიროების დაკმაყოფილება და მისი შორეული საჭიროების გათვალისწინება, როდესაც, ერთის სიტყვით, ქართველ კაცს საზრუნავად გადაექცევა მიზანშეწონილი ეროვნული ყოველდღიური საქმიანობა,—აი მაშინ წარსდგება მის თვალწინ მთელის საშინელებით, ეროვნული განვითარების ის „ტორმაზი", ეროვნული გაზრდის ის შემხუთველი ხუნდები, რაიცა არსებობს უკანასკნელ სტადიაში, უცხო, არა-ქართულის ელემენტის ჩამოსახლებით, დ რაიცაჩვენში შეჰქმნეს ძგამოსჭედეს. ჯერ ჩვენ ამ მხრივ უდარდელი, უზრუნველი ბალღები ვართ. უკიდურესობისა და ოპოზიციონერობის ფერადები თვალებსა გვჭრის.

„ინტერნაციონალისადმი" ბავშური თაყვანება რელიგიურ ექსტაზს იწვევს ჩვენში. იგი პოლიტიკურ სიბრძნედაც გამოგვიცხადებია! ჩვენში არის მხოლოდ ერთი მარცხენა ფრთა; ქვეყანას [illegible]

ამ გვარივე ანტი-ქართული პროპაგანდა აჭარა-ქობულეთში, მაჰმადიან ქართველებ შორის, ამ გვარივე პროპაგანდა აფხაზეთშიც, სადაც დაარსდა სხვა და სხვა საზოგადოება იმ მიზნით რომ ჩამოეგლიჯათ და სამუდამოდ ჩამოეშორებინათ ეს ჩვენი ორგანიული ნაწილი, რომელსაც დედა-საქართველოსთან ერთად განუვლია თავის წარსულის ბედნიერი და მწარე დღეები.

ქართველი საზოგადოება დღემდე განაპირებისკენ არ იყურებოდა. იგი შერჩა თბილისსა და კიდევ ორ სამ მაზრას თუმცა ვერც ის დაიცვა.

მას შესწავლილი არ აქვს ამ განაპირა კუთხეების საჭიროება და არ იცის, თუ რა ღონისძიება იხმაროს ხიფათში ჩავდებულ ეროვნულ საქმის გამოსაბრუნებლად. ხოლო დღეს ამგვარი საქმიანობა მორიგ საჭიროებას წარმოადგენს. გასაკეთებელია ეროვნული მომავლის საქმე, დიდი შინაური საქმე, რომლის მოგვარება არა ერთისა და ორი თაობის შეერთებულ ძალასა და ენერგიას საჭიროებს.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

14—15 თებერვალი.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. გალიციაში, მდ. დნესტრზე, მიხალჩეს მიდამოებში ზარბაზნის ხანგრძლივი სროლის შემდეგ მტერმა მოახერხა ერთი სანგრის აღება, მაგრამ სწრაფი კონტრ-იერიშით უკუაგდეს.

**კავკასიის ასპარეზი.** აზრუმის დაპყრობის შედეგად, რომელმაც ძალიან მცირე მსხვერპლი შეიწირა, რუსებს დავლად დარჩათ სულ 235 ოსმალო აფიცერი 12,753 ჯარისკაცი, 9 ბაირაღი, 323 ზარბაზანი. ოსმალეთის პირველ ხარისხოვან სიმაგრე—აზრუმის აღების დროს, რუსებმა ხელთ იგდეს დიდი საწყობები იარაღისა, სასროლი მასალისა, სურსათისა, კარვები და სხვ. დამარცხებულ და თავგზადაბნეულ მტრის დევნას განაგრძობს რუსის ჯარი. აზრუმის დასავლეთით 50 ვერსის მანძილზე ოსმალთა უკან მავალი ჯარი მოსრნეს ტრაპიზონის გზატკეცილზე. რამდენიმე ტყვე წამოიყვანეს.

**პეტროგრადი.** რიგის მიდამოებში ცხარე სროლაა ზარბაზნებისა. რუსების ზარბაზნები მარჯვედ მოქმედობენ. მზვერავები ზადესთან, ფრიდრიხშტატის მიდამოებში, ვაჟკაცურად თოფის დაუცლელად დაეცნენ გერმანელების სადარაჯოებს და ბევრი დახოცეს. ილუკსტთან მედგარი ბრძოლაა სანგრების ხელში ჩასაგდებად.

**კავკასიის ასპარეზი.** უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში საშინელს ქარბუქსა და მკერდამდე თოვლში რუსის ჯარი ფეხდაფეხ დევნის ოსმალებს.

**სპარსეთში** რუსის ჯარმა მოპირდაპირე რამდენიმე ადგილიდან გააძევა და აიღო ქალაქი ქერმანშაჰი.

---

**ბუქარესტი.** სტამბოლიდან იუწყებიან, ალეპოში მყოფი ოსმალთა კორპუსი, რომელიც ეგვიპტეში გასაგზავნ ჯარის ნაწილს შეადგენდა, აზრუმიდან დახეულ ოსმალების მისაშველებლად გაიგზავნაო.

**სტოკჰოლმი,** ნორვეგიელ სოციალისტ ოლოვსონთან საუბრის დროს ლიბკნეხტმა დაამოწმა, რომ გერმანეთში ქუჩური დემონსტრაციები ხდება სიძვირის წინააღმდეგ და ზავის სასარგებლოდ. ინგლისის ბლოკადითაც გერმანეთში მრავალი მილიონი ხელმოკლე მცხოვრები იტანჯება.

**ლონდონი,** 12 თებერვალი. დაღუპეს ინგლისის ორი გემი „დინება" და „ტუმმელი". უკანასკნელიდან გადაარჩინეს 5 კაცი, შვიდი არა სჩანს.

**ჰავრი,** 13 თებერ. ბელგეთის ცნობა. მთელი დღევანდელი დღის განმავლობაში ჩვენ ფრონტზე საარტილერიო ბრძოლამ უმწვერვალეს წერტილამდე მიახწია, უმთავრესად დიქსმიუდედან ჩრდილოეთით. მერკამთან ჩვენმა ბატარეიამ ყუმბარები დაუშინა მტრის სიმაგრეებს.

**პარიზი,** 13 თებერვალი. საღამოს ოფიციალური ცნობა. არტუაში ნაღმებით ბრძოლა გაგრძელდა. აქ ჩვენ ავაფეთქეთ ორი გამაგრებული ადგილი: ერთი გზიდან დასავლეთით და მეორე ნევილ-სენ-ვაასტადან აღმოსავლეთით. შამპანში ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიში, რომელიც მიმართული იყო ჩვენ მიერ სენ-მარიდან ჩრდილოეთით აღებულ ადგილისკენ. ამ დღეს ტყვედ ჩავიგდეთ ხელში 340 კაცი, ამათში 9 აფიცერი და 36 უნტერ-აფიცერი. ვილ-სიურ-ტურბედან ჩრდილოეთით და მონსტიუს რაიონში ჩვენმა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა მტრის სიმაგრეებს. ვერდენიდან ჩრდილოეთით განუწყვეტელი საარტილერიო ბრძოლაა გაჩაღებული. მტრის იერიშებზე ჩვენი ჯარი სამაგიერო მედგარ იერიშებით აძლევს პასუხს. გერმანელები თავგამოდებით გვეკვეთნენ შენევილის რაიონში და პუავრეს სიმაღლეებზე და შეეცადენ ჩვენი გამაგრებული ადგილის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ვერას გახდენ. მედგარი ბრძოლაა ვერდენის ახლოს ფორტ დუაომონთან. ის ადგილი, რომელიც დილით დაიჭირა მტერმა, ჩვენმა ჯარმა ისევ ხელში ჩაიგდო და გერმანელები ტყუილად სცდილობენ მის წართმევას. სენ-მიელის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა მძიმე არტილერიამ ყუმბარები დაუშინა ვინიოლის ახლოს მტრის ანგარებს და საწყობებს. ლიუნეველ-ნანსის მხრით გერმანელებმა რამდენიმე მსხვილი ყალიბის ყუმბარა გაისროლეს. დღეს ვერდენის რაიონში პრაპორშჩიკმა ნავარრმა მონოპლანიდან ტყვიისმფრქვეველით სროლა აუტეხა გერმანიის ორ ჰაეროპლანს და ძირს ჩამოაგდო. სულ 5 ჰაეროპლანი ჩამოაგდო მან, ეს ჰაეროპლანები ჩვენ პოზიციაზე ჩამოვარდა, ორი მფრინავი მოკვდა და ორი ტყვედ ჩაგვივარდა ხელში. იმავ დღეს ჩვენმა 9 ჰაეროპლანმა 144 ყუმბარა ჩამოაგდო სადგურ მეცსა და საბლონში. მფრინავთა მეორე რაზმმა შაბლეში ყუმბარები დაუშინა მტრის სიმაგრეებს.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

### ჰაერში ბრძოლის ზარალი.

გასულ იანვრის განმავლობაში გერმანეთსა და ავსტრიას დაეღუპა ორი დიდი ცეპელინი; ხუთი მისაბმელი შარი, რომელიც საალტირელიო ბრძოლის დაზვერვა და გასწორებას აწარმოებდა. ერთი დიდი ჰიდრო-ჰაეროპლანი, 22 სუბუქი ჰაეროპლანი და ხუთი ჰაეროპლანი გამანადგურებელ ალბატროსის ტიპისა.

### ბულგარეთის ჯარი

გაზეთ „ეხო დე პარი“-ს ცნობით ბულგარები მეტისმეტ სისწრაფით საბერძნეთის საზღვარზე ციხე სიმაგრეებს აშენებენ. მდინარე სტრუმიცის ველზე თხრილების ორი რიგი გაიყვანეს, ხოლო სოფელ სტრუმიცასა და პეტრიჩეს შუა ვარნიდან მოტანილი არტილერია დასდგეს. ბულგარეთის ჯარი თავს იყრის ველესსა, უსკიუბსა და იმტიბში. სურსათ საგზლის და საომარ მასალის მოსატანად საპიორები საბერძნეთის საზღვრამდე გზებს აკეთებენ.

### მეურნეობა ბულგარეთში

ბულგარეთის მთავრობამ გერმანელების ხელმძღვანელობით ბრძანება გასცა თავის ქვეშევრდომთა საყურადღებოდ, რომ ყველა მამულები დამუშავებულ იქმნას. უკეთუ რომელიმე მამული დაუმუშავებელი იქმნება პატრონს დიდი ჯარიმა დაედება. კარგად დამუშავებულ მამულზე პრემია დაუნიშნავთ. რამდენიმე ოჯახი ერთს კავშირს ადგენს და საერთო ძალით ხნავენ და სთესვენ.

### ვერდენის მახლობლად

გაზეთების უკანასკნელ ცნობით მართლდება ის ხმა, რომ გერმანელებს ამ მიზნის განსახორციელებლად ფრანგების ჯარის მარჯვენა ფრთის წინააღმდეგ 40 დივიზიისთვის მოუყრიათ თავი. მეხუთე არმიას ხელმძღვანელობს ვილჰელმის შვილი ტახტის მემკვიდრე, ამბობენ ეს ბრძოლა ყველა ბრძოლაზე სასტიკი იქნებაო.

# ბრძოლის ველზე

ვერდენის გარშემო ბრძოლა უმწვერვალეს სიმკაცრეს აღწევს. გერმანელებმა ოთხას ათასზე მეტი ჯარისკაცი შეაგროვეს, ჩამოიტანეს ბევრი 42 სანტიმეტრიანი ზარბაზანი. დაწყებისას ოპერაციაში მოსჩანს გერმანელთა შეუდრეკელი გარდაწყვეტილება ვერდენის ხაზის გარღვევით პარიზს ძველის გზით მიადგნენ. ფრანგების მხრივ მომზადება უკვე დამთავრდა, ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი ღირსეულ პასუხს აძლევენ მოპირდაპირეებს დღეს ბრძოლა ზედ ვერდენის ჩრდილოეთის ფორტებთან სწარმოებს. თუ სახეში მივიღებთ ბრძოლის სიმტკიცეს და ინტენსიურობას, შეიძლება ითქვას, რომ ამ ასპარეზის ბედი მოკლე ხანში გამოირკვევა.

რუსეთ-გერმანეთის ბრძოლის პირზე სამხედრო მოქმედება გაჩაღებულია რიგა-დვინსკის რაიონში. ორი კვირაა რაც საარტილერიო სროლა მომეტებულის სიმკაცრით სწარმოებს. ფრონტის დანარჩენი ადგილების შესახებ არაფერი ისმის. გალიციაში და ბუკოვინაში დაწყებული დიდი ბრძოლები, რომელთაც აუარებელი მსხვერპლი მოჰყვა ორთავე მხარეზე, განელდა და იქიდან არაფერი ისმის.

კავკასიაში აზრუმის აღების შემდეგ თვალსაჩინო არაფერი მომხდარა. გუშინწინდელი ოფიციალი დეპეშა იძლევა ჯამს აზრუმის ოპერაციისას რუსებს ტყვედ წამოუყვანიათ 235 ოსმალო ოფიცერი და 12,753 ჯარისკაცი, 323 ზარბაზანი და 9 დროშა. ისეთ ციხე-სიმაგრის აღებასთან შედარებით, როგორიც იყო აზრუმის აღება, ამ ერთად-ერთი ბურჯისა ოსმალეთისთვის მთელ აღმოსავლეთის ასპარეზზე, მოყვანილი ციფრები მეტად მცირეა. ეს ამტკიცებს იმ აზრს, რომელიც ადრე გამოითქვა და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ არზრუმის აღება არ იყო შედეგი დიდი ბრძოლისა. ამიტომაც აზრუმის აღება, შენარჩუნება და გამაგრება უნდა იქმნას შედეგი იმ დიდი ბრძოლისა, რომელიც მოჰყვება ოსმალ-რუსთა ჯარების შეხლას აზრუმის დასავლეთით.

მეგრი.

# დეპეშები

(„საქართველო“-ს საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

**ვერდენთან ბრძოლის გაჩაღებით დასრულდა საპოზიციო ომი. გერმანელებმა გარდამწყვეტი ხასიათის შემოტევა დაიწყეს რომ მიაღწიონ ატეხილი ომის გარკვეულ შედეგებს. ფრანგები მომზადებულნი არიან. ჯერჯერობით გერმანელებმა მხოლოდ რამდენიმე ვერსით წინ წაიწიეს და ვერდენის სიმაგრის ჩრდილო ფორტებს მიადგნენ. აქ იბრძვის ოთხას ორმოცდა ათი ათასი გერმანელი. ჯარებს ვილჰელმის თანადასწრებით სარდლობს კრონპრინცი. საარტილერიო ბრძოლამ ჯერ არ ნახულ სიმძაფრეს და მედგრობას მიაღწია. სიმაგრის დასანგრევად მრავალი ორმოცდა ორი სანტიმეტრიანი ზარბაზანია ჩამოტანილი. ფრანგები დიდის სიმკაცრით უპასუხებენ. ბერლინის პრესა ძველი გზით პარიზზე გალაშქრებას აუწყებს საზოგადოებას.**

გ. ვ.

# ახალი ამბავი

◆ **საქართველოს ეგზარხოსმა პლატონმა** კვირას, 14 ამ თვეს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში პანაშვიდი გადაიხადა ბრძოლის ველზე დახოცილ ჯარის კაცთა სულის მოსახსენებლად. დაესწრნენ ქალაქის თვითმართველობის წევრნი და გარეშე ხალხი.

◆ **შეერთებული კრება** წერა-კითხვისა და ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა კომისიებისა ილიასეულ მამულის საიჯარო პირობების შესამუშავებლად შესდგა 14 ამ თვეს. თავმჯდომარეობდა თავ. დ. ერ. ჩოლოყაშვილი. კომისიებმა ერთმანეთს წარუდგინეს თავიანთი პირობები. წერა-კითხვის საზოგადოების კომისია თავისს პირობაში, სხვათა შორის, თხოულობს, რომ სამეურნეო საზოგადოებამ ნაწილ-ნაწილ იხადოს მამულის ვალები და იკისროს სავალდებულო ხარჯების გასტუმრება, მაგალითად, სახელმწიფო და საერობო გადასახადი და ილიას ნასესხები 8,500 მანეთი. სამეურნეო საზოგადოების კომისია წერა-კითხვის საზოგადოების პირობებს მომავალ ხუთშაბათს, 18 ამ თვეს, წარუდგენს საზოგადოების საბჭოს განსახილველად. კომისიების კრების გაგრძელება შემდეგ მოხდება.

◆ **კერძო თათბირი.** 22 ამ თვეს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრებს კერძო თათბირი ექნებათ, რომელზედაც უნდა დაასახელონ საზოგადოების საბჭოს წევრებად და მდივნად ასარჩევი კანდიდატები საზოგადოების წლიურ კრებაზე 22 ამ თვეს. ამ კერძო თათბირს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, მით უფრო, რომ ბ-ნ ავდეევის თანამდებობიდან დათხოვნამ არა სასიამოვნო ატმოსფერა შექმნა აღნიშნულ საზოგადოების გარშემო. ამიტომ საჭიროა, რომ ჩვენმა მეურნეებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღონ როგორც თათბირში, აგრეთვე წლიურ საზოგადო კრებაზედაც.

◆ **ოსმალების დროშები.** გუშინ, 15 ამა თვეს, სამხედრო მუზეუმის კარებთან გამოფენილი იყო წაგვლი დროშები ოსმალებისა. ხალხი ბლომად იკრიბებოდა მუზეუმთან და დროშებს ათვალიერებდა.

◆ **სტუდენტების კრებული.** პეტროგრადის უნივერსიტეტთან არსებულმა ქართველ სტუდენტთა წრემ გამოსცა თავის კრებებზე წაკითხულ მოხსენებათა პირველი კრებული. კრებულში მოთავსებულია შვიდი მოხსენება, რომლებიც შეეხებიან საქართველოს ისტორიულ, ეკონომიურ, ლიტერატურულ, ფილოლოგიურ და ლინგვისტურ მხარეებს. კრებული 200 გვერდს შეიცავს და ქართული ხატების მოჭედილობის ე. ი. ქართული ხელოვნების სახეები აქვს თან დაყოლილი. გამოცემულია პროფესორი ივ. ჯავახიშვილის რედაქციით. მოხსენებანი ეკუთვნის შემდეგ ავტორებს: შ. დადიანს, ი. ანთაძეს, დ. კაკაბაძეს, გ. თარხნიშვილს, გ. ქუბაბრიას და აკ. შანიძეს.

კრებული ღირს ერთი მანეთი და იყიდება ჟურნ. „ნაკადულის“ რედაქციაში 10 საათიდან 3 საათამდის.

◆ **ჯამაგირების მომატება.** კახეთის რკინისგზის მოსამსახურეთ ჯამაგირები გაუდიდდათ 15 პროცენტით.

◆ **„კახეთის კავშირის“** თავმჯდომარე ბ-ნი კანდელაკი გუშინ ჩამოვიდა თბილისს და გამგეობა ცოტა ხანში შეუდგება კავშირის საქმეების მოწყობას.

◆ **მოსამსახურეთა რიცხვის შემცირება.** როგორც ხმა დადის, კახეთისრკინის გზაზე მოსამსახურეთა რიცხვის შემცირებას აპირობენ.

◆ **ლექციების კითხვა დიდუბეში.** დაიწყება სისტემატიური ლექციების კითხვა ქართულ ლიტერატურის შესახებ დიდუბეში ამ მოკლე ხანში. მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ დიდუბის სამკითხველოში ყოველ დღე 4—8-დი ნიკოლოზ ირემაძესთან.

◆ **სასმელი წყალი.** როგორც ვიცით, თბილისს არ ჰყოფნის ავჭალის წყალსადენის წყალი, განსაკუთრებით ზაფხულობით და ქალაქის თვითმართველობა ახალ წყაროებს დაეძებს, საიდანაც წყლის გამოყვანა შეიძლებოდეს. ამ საგნისათვის ქალაქის საბჭოს მიერ განსაკუთრებული ბიურო არის არჩეული. 13 თებერვალს, ხმ. ბაბოვის თავმჯდომარეობით, სხდომა ჰქონდა აღნიშნულ ბიუროს, რომელიც შეუდგა ნატახტარიდან და მუხრანიდან წყლის გამოყვანის პროექტის შედგენას. შემდეგი სხდომა ბიუროს ექნება მომავალ პარასკევს, 19 თებერვალს.

◆ **აზრუმს მიემგზავრებიან** ქალაქთა კავშირის ორგანიზაციების მოსაწყობად: თბილისის ქალაქის გამგეობის წევრი ა. მ. არღუთინსკი, საბჭოს ხმოსანი ხუნუნცი და ექიმი მინასიანცი.

◆ **უეცრად გარდაიცვალა** 14 თებერვალს ღამით გაზეთ „კავკაზი“-ს თანამშრომელი კაზანოვსკი.

◆ **სენატორი სტრახოვსკი,** თბილისის გუბერნატორად ნამყოფი, 13 ამა თვეს პეტროგრადს გაემგზავრა.

◆ **სახალხო ლექცია.** ხვალ საღამოს, 17 ამ თვეს, სახალხო უნივერსიტეტთა ქართულ სექციის დავალებით ბ-ნი პავლე საყვარელიძე ნაძალადევში, ბოტეს სახლში, პოლიტიკურ ეკონომიიდან წაიკითხავს სახალხო ლექციას.

◆ **კახეთის რკინის გზის** გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები ხვალ კახეთს მიემგზავრებიან რკინის გზის მოწყობილებათა დასათვალიერებლად ადგილობრივ.

◆ **მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ალექსანდრა თევდორეს ასულის საწყობის კომიტეტს 5—12 თებერვალს შემდეგი შეწირულებანი მიუღია:** კნ. მ. ი. და კნ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკისაგან—300 მ., ბარონესა ა. ნ. ნოლკენისაგან—50 მ., კნ. ვ. ნ. არღუთინსკი-დოლგორუკისაგან 50 მ., ა. ა. ბახმეტევისაგან—9 მ., №№—2 მ., საკომერციო დაწ. მოსამსახურეთაგან—42 მან. ამას გარდა, 3 თებერვალს ოლიპკოვსკის მიერ გამართულ წარმოდგენის ბილეთების ფასის მაგიერ საწყობმა მიიღო მ. გ. კრუპენსკისაგან 25 მ., მ. ვ. იანუშკევიჩისაგან—50 მ., ე. ვ. მდივანისაგან 100 მან., ა. ნ. ბურგოლდისაგან—20 მან., კნ. სუმბათაშვილისაგან 25 მან., ი. ზ. გოპაძესაგან—15 მ., ლ. ი. კუჩევსკისაგან 5 მან., პრინცესა კაჯარისაგან 20 მან.

◆ **შემოიტანეს 13 და 14 თებერვალს:** ფქვილი 24 ვაგ., შაქარი 1 ვაგ., ღვინო 2 ვაგ., კარტოფილი 2 ვაგ., ხორბალი 1 ვაგ., თეზაფი 1 ვაგ., მაზუთი 1 ვაგ., ნავთი 2 ვაგ., ლურსმანი 1ვაგ.

◆ 7 თებერვალს, ხარკოველ ქართველ სტუდენტებთა მიერ უნივერსიტეტის ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი აკაკი წერეთლის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზედ დაესწრო სტუდენტობა, კურსელი ქალები და მრავალი პატივცემული. სასურველი იყო, რომ პანაშვიდზედ ქართ. სტუდ. გუნდს ეგალობნა.

**მომრიგებელ მოსამართლეთა** თანამდებობის მისაღებათ ცალკე პროგრამმა შეადგინა გამოცდისა საგუბერნიო სავლეხო საკრებულომ. ეს პროგრამმა მეფის ნაცვალმა დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ უკვე დაამტკიცა.

◆ 12 თებერვალს საღამოს მატარებლით თბილისში ჩამოვიდა დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის წინამძღოლი **თ-დი დ. ღ. ნიჟარაძე,** რომელიც სასტუმრო „კავკაზ“-ში დაბინავდა.

◆ **ახალი მომხმარებელი საზოგადოება.** სოფელ წილკანში შესდგა მომხმარებელი საზოგადოება, რომელსაც ეწოდების „არაგვი“. საზოგადოების წესდება უკვე დაამტკიცა გუბერნატორმა. საზოგადოებაში, რომელიც ამ დღეებში გახსნის ვაჭრობას, გლეხები ბლომად ეწერებიან წევრებად.

◆ **კახეთშიაც,** როგორც გადმოგვცეს, თოვლი მოსულა. სოფლელებს იმედი აქვთ, რომ ზამთრის ნათესები გამოკეთდება და მინდვრის თაგვი გაწყდება.

◆ **ახალი სკოლები.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას ნება დართო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა დაარსოს სკოლები ბათომის ოლქის შემდეგ 7 სოფელში: საგარასა, ალამბარსა, კოროლის-თავსა, ქედასა, საღორეთსა, ჩხუტუნეთსა და წყალსიმერში. სწავლა, თანახმად 1914 წლის 1 ივლისის კანონისა, იქნება სამშობლო (ქართულ) ენაზე. სკოლებში 4 წლის კურსი იქნება.

◆ **თავშესაფარი.** სასულიერო უწყებას აზრად აქვს გახსნას თავშესაფარი მოხუცებულ და დავრდომილ სასულიერო პირთათვის. საქართველოს ეგზარხოსი პლატონი 11 ამა თვეს ბორჩალოს მაზრაში იყო ადგილის დასათვალიერებლად, საცა თავშესაფარი უნდა გაშენდეს.

### ქ. თელავი.

კარგა ხანია თელავში ხორცი აღარ იშოვება დილით. ყასბის დუქნის ჩანგალზედ ხან და ხან დაინახავთ თითო ნაჭერ ჩამოკიდებულ, გაშავებულ გამხმარ ხორცს, რომელსაც არ ეტყობა რისა უნდა იყოს. ქალაქის გამგეობამ 18 კაპ. დაუწესა ნიხრი გირვანქაზედ და ამის მიზეზით დილით სულ აღარ აჩენენ ხორცს. საღამოთი კი, დაბინდდება თუ არა, მიიტანენ დუქნებში ხორცს ფარულად, დამალავენ ან უკანა ოთახში თუ აქვთ თუ არადა დაზგის ქვეშ გააღებენ თითო დარაბას იქიდგან შედიან ჩუმათ შიგ მდიდრები და ისე ყიდულობენ ხორცს გირვანქა 30 კაპ. ღარიბს კი სად შეუძლიან ამ ფასათ მისი ყიდვა. თუმცა დაფარულად სწარმოებს ესეთი ვაჭრობა, მაგრამ ამას ნუ იფიქრებთ რომ არ ესმოდეთ ქალაქის მამებს. პირიქით ყველა ამას თვალითა ჰხედავენ და თითონაც ამგვარად ყიდულობენ ნიხრის დამდგენელნი ხორცს. ეს რამდენიმე დღეა აღარც შაქარი იშოვება თელავის დუქნებში. თუ გირვანქაში ორ აბაზს მისცემთ, შეიძლება იშოვოთ ჩუმათ ხვეწნა მუდარით.

### ხაშური.

ხაშურში დასავლეთ საქართველოს თ.-აზ. წინამძღოლს თ-დ ნიჟარაძეს წარუდგა დეპუტაცია, რომელმაც აცნობა მას, რომ 5 თებერვალს ადგილობრივ ტაძრის გალავანში ერთმა სამხედრო პირმა ხალხს ქართველ ერისთვის შეურაცხმყოფელ სიტყვებით მიმართა. ასეთივე დეპუტაცია წინა დღით ყოფილა გაგზავნილი ქუთაისში თ-დ ნიჟარაძესთან და თბილისში თ-დ აბხაზთან.

# შიო მღვიმელის დღესასწაული

**რედაქციამ მიიღო შემდეგი მისალოცი დეპეშები.**

**ახალციხე.** ახალ-ციხის ქართველი საზოგადოება სალამს უძღვნის შიო მღვიმელს, რომელიც 30 წლის განმავლობაში თავის წარმტაც პოეზიით ატკბობდა ქართველ ხალხს და ზრდიდა მომავალ თაობას.

**ხახუტოვი.**

**გორი.** საქართველოს ძეთა დღევანდელს დღესასწაულს ბიძია შიოს 30 წლ. მოღვაწეობის გახსენებისა გამო ჩვენც გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელნი და მოსწავლენი საერთო ეროვნულ ლხენა-სიხარულს სულით და გულით ვიზიარებთ. ვინატრით ბიძია შიოს ქნარს კიდევ მრავალს წელს საამურად ეძღეროს სალხინოთ დღეთა ჩვენთა.

მონდობილობით არქიმანდრიტი

**იოანე.**

# შიოს დილა

(შთაბეჭდილება)

„ჩემო ტურფა ქვეყანავ
რაზედ მოგიწყენია,
აწმყო თუ არა გწყალობს
მომავალი შენია;
შვილები წამოგესწრნენ
ნაზარდი გულ-მტკიცენი,
მათ სიცოცხლის საგანი
შენ ხარ და შენ იქნები!“

**ილია.**

ჭეშმარიტად ბედნიერია ის მშობელი, რომელიც 14 თებერვალს შიო მღვიმელის სადღესასწაულო დილას დაესწრო. ეს დღე შიოს დღეობა, შიოს ზეიმი, შიოს პატივსაცემი დილა კი არ იყო არამედ ეს დილა იყო შიოს ყვავილების—ქართველი ბავშვების მხიარული ჟივილ-ხივილის, ანგელოზებრივი ტიტინის, უმანკო სიცილ-კისკისის, ღვთიურ ჰანგზე სიმღერის, შეჯიბრება-კამათის. ოხ, ღმერთო ჩემო, რა ბედნიერი ვარ რომ დავესწარი ამ დილას, ჩემის ყურით გავიგონე ანგელოსთა გუნდის სიმღერა-ტიტინი, ჩემის თვალით ვიხილე მიწიერი ფრთოსნები, კუდრაჭა გოგონები, ცელქი ბიჭუნები. ზღაპრულ ქვეყანაში მეგონა თავი, არ მინდოდა შეწყვეტილიყო სიმღერა, ტიტინი, ჟღურტული, არ მინდოდა ჩამოშვებულიყო ფარდა და პარნასის ყვავილნარიდან ძირს სინამდვილეში დავბრუნებულიყავი. რა შეედარებოდა იმ სურათის სიმშვენიერეს, როცა პირველი განყოფილება მილოცვა გათავდა და შიოს გარშემორტყა მისი ყვავილების გუნდი, შემოეხვია ანგელოსთა კრებული და ჰალარა შიო შუაში მოექცა, მაგრამ შიოც ანგელოზებრივი ღიმილით, ბავშური უმანკოებით, შვაში დგას და მეტის სიამისაგან მტრედივით უფართხალებს გული. რა შეედრებოდა ჩარკვიანის მომღერალ ყმაწვილთა გუნდს, რომელსაც ლოტბარობდა მათივე ტოლი ქულაჯიანი ყრმა. ყრმა გრძნობდა თავის როლის სიძნელეს გრძნობდა და ფრთხილად იყო. ვერ წარმოიდგენთ რა ოსტატურად, რა გატაცებით, და შეუმცდარათ და ამავე დროს მედიდურათ იდგა და სარდლობდა გუნდს.

რა მომხიბვლელი იყო მათურელის სამი გოგონა—ტრიო, რა ბუნებრივათ ეჭირათ თავი და მშვენივრად იმღერეს ქართული ხმები. განა დამავიწყდება ლაფერაშვილის, ხახუტაშვილის და ცოცხაძის პაწიები, რომლებმაც პაწია ხელებით, მაგრამ დიდის ხელოვნებით უკრავდნენ როიალზე.

განათლების სკოლის მოსწავლეთ მოგონება და მათ მიერ მწყობრად ნამღერი „სამშობლო“ ახლაც მიტკბობს ყურს. პაწია მიმლოცავები, რომლებიც რთულ ლექსებს ზეპირად ეტიტინებოდენ შიოს და მერე ყელზე ჩამოკიდებულნი ჰკოცნიდნენ ძია შიოს. წარმტაცი სურათი იყო და ბევრს ცრემლიც ვერ შეეკავებინა. ყველაფერი კარგა, მომხიბვლელი და გულში იმედის აღმძვრელი, იყო, რაიც შეეხებოდა ბავშვებს. ოხ, რა კარგი იქნებოდა, რომ ბავშვებს, მაოს მიერ სიყვარულ-პატივისცემაში არ შეცილებოდნენ დიდრონები. ბედნიერია შიო, რომ დაიმსახურა ბავშვთა სიყვარული, ბავშების გული მოუსყიდველია, უმანკოებას მხოლოდ უმანკოების შეყვარება შეუძლიანთ, ბავშვთა ბაგით მხოლოდ უმანკოება წარმოითქმის. ბედნიერი ვარ მეც რომ შიოს დილას დავესწარით და „გულს იმედი ჩამესახა“—„მომავალი ხომ ჩვენია“ მეთქი ვთქვი.

ა—ნ.

# უმთავრესი დებულებანი

**მეომარ სახელმწიფოთათვის ომიანობის დროს *).**

შარშან, ნოემბერში და დეკემბრის პირველ რიცხვებში დიდ შიშსა და განსაცდელში იყვნენ ჩავარდნილნი ქ. ვარშავას მცხოვრებლები. გერმანელები ქალაქს უახლოვდებოდნენ და მცხოვრებლებმა კი არ იცოდნენ თუ რა გზას დაადგომოდნენ, წასულიყვნენ ქალაქიდან, მიეტოვებინათ თავიანთი სახლ-კარი და ავლა-დიდება, თუ დარჩენილიყვნენ და მოთმინებით შეხვედროდნენ გერმანელებს თუ უკანასკნელი, ვინიცობა არის, ქალაქში შემოვიდოდნენ. არა ერთხელ ვყოფილვარ მოწამე, როცა პოლონელები ამ საკითხზედ იწყებდნენ ხოლმე სჯაბაას. ყველას ეშინოდა, ყველა ფიქრობდა გერმანელები ქალაქში შემოვლენ და ჩვენ დიდსა თუ პატარას ხიშტებზედ აგვაგებენო. ზოგს კიდევ რისა ეშინოდა და ზოგს რისა.

ასეთივე ლაპარაკი ხშირად ჩვენშიაც გამიგონია.

ამისათვის საჭიროდ ვთვლი მოკლედ გავაცნო მკითხველებს უმთავრესი დებულებანი იმ წესებისა, რომელნიც წმიდად და დაურღვევლად უნდა დაიცვან ომიანობის დროს მოპირდაპირე სახელმწიფოებმა.

### ვინ ითვლება ომიანობის დროს მეომრად?

მეომრებად ითვლებიან მოპირდაპირე სახელმწიფოთა რეგულიარული ჯარები, მოლაშქრენი და მოხალისე რაზმები.

მოლაშქრენი და მოხალისე რაზმები მაშინ ითვლებიან მეომრებად, თუ მათ უფროსობს მთავრობის წინაშე პასუხის მგებელი უფროსი და თუ ცხადად ატარებენ იარაღს და ექვემდებარებიან ომის ყოველგვარ კანონსა და ჩვეულებებს.

თუ მტრის შემოსევის დროს ადგილობრივი მცხოვრებლები იარაღს შეისხამენ და იარაღით წინააღმდეგობას გაუწევენ შემოსეულ მტერს, მაშინ ისინიც მეომრებად ითვლებიან და მოპირდაპირეს ნება აქვს ისეთივე სისასტიკით მოეპყრას მათ, როგორც რეგულიარულ ჯარს.

### ვინ სარგებლობს ნეიტრალური უფლებით?

სამხედრო ჰოსპიტლები, საველე ლაზარეთები, ავადმყოფთა ტრანსპორტები შიგ მყოფი ავადმყოფებითა და მოსამსახურებითა ხელ უხლებელნი არიან. ექიმებს, სანიტარებს და ავადმყოფთა სხვა მომვლელებს შეუძლიათ მტრისაგან დაჭერილ ადგილებში დარჩენ და თავიანთი მოვალეობა შეასრულონ, ანა და, თუ მოისურვებენ, დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში: მხოლოდ კი ლაზარეთებისა და ჰოსპიტლების ქონება მტრის საკუთრებად რჩება და ექიმებს და სანიტარებს შეუძლიანთ მხოლოდ თავიანთი საკუთარი ნივთები წამოიღონ.

ყველა ლაზარეთები, ჰოსპიტლები და ავადმყოფთა ტრანსპორტები წითელი ჯვარის ბაირაღებით უნდა იყვნენ აღნიშნულნი.

ექიმებმაცა და სანიტარებმაც მკლავზედ უნდა ატარონ თეთრი სახვევები. მოპირდაპირეს ჯარი, როდესაც სხვის ადგილებს იჭერს, ვალდებულია პატივით მოეპყრას დაპყრობილი ადგილების მცხოვრებლებს და დაიცვას მათი სიცოცხლე, მათი ოჯახური და ქონებრივი უფლებანი და აგრეთვე მათი სარწმუნოება და ყველა სარწმუნოებრივი ჩვეულებანი.

გამარჯვებულ მოპირდაპირეს ნება აქვს ისარგებლოს დაპყრობილი ქალაქებისა და სოფლების მოძრავ ქონებითა, რაიც კი გამოსადეგი იქნება სამხედრო მასალად. მაგ. რკინის გზებით, სურსათ-სანოვაგით, იარაღით, ტელეფონით, ტელეგრაფით, გემებით, ფულითა და ფასიანი ქაღალდებით.

მოპირდაპირეთ ომიანობის დროს აკრძალული აქვთ ხმარება ისეთი მოწამლული იარაღისა, რომლითაც წვალება შეიძლება მიაყენოს დაჭრილებს.

აკრძალული და დაშლილია მოკვლა ანუ დაჭრა მოპირდაპირე იმ მეომარისა, რომელმაც იარაღი დაჰყარა ან დამორჩილდა.

აკრძალულია განგებ მტრის მოტყუება თეთრი ბაირაღთა და წითელი ჯვრის ნიშნებითა. აკრძალულია აოხრება და წაღება ყოველივე მისი, რაც მტრის საკუთრებას შეადგენს და სამხედრო მასალად არ არის გამოსადეგი.

არ შეიძლება იერიში მიიტანო და სროლით აოხრო ის ქალაქები და სოფლები, რომლებიც ჯარით არ არის დაჭერილი. კანონით, სიკვდილით ისჯება ის, ვინც ტყუილად უბრალო ძარცვა-გლეჯას დაუწყებს დაპყრობილ ადგილების მცხოვრებლებს. გამარჯვებულ მხარეს ნება არა აქვს დამონებულ მცხოვრებლებს იარაღი შეასხას და თავიანთ სასარგებლოთ აომოს.

სასტიკად აღკრძალულია წინასწარგანზრახვით დანგრევა და აოხრება—ეკლესიებისა და საეკლესიო დაწესებულებისა, აგრეთვე სამეცნიერო დაწესებულებებისა, ისტორიული ძეგლებისა, მუზეუმებისა და სასწავლებლე-

*) წერილი ემყარება ჰააგის სამშვიდობო კონვენციასა 1907 წლ. და 1906 წლის ჟენევის კონვენციისას.

ბისა. ყველა ასეთი დაწესებულებების შენობები ადრევე უნდა იქმნენ აღნიშნული რაიმე ნიშნებით და ადგილობრივი მცხოვრებლები ვალდებულნი არიან მათ შესახებ ყოველივე ადრევე აცნობონ მოიერიშე ჯარის უფროსებს.

დაჭრილები, რომლებიც მოპირდაპირეს შემთხვევით ხელში უვარდებიან ითვლებიან სამხედრო ტყვეებად. მათ მეტად დიდის ყურადღებით უნდა მოეპყროს ორთავე მხარე. იმ დაჭრილ მეომრებს, რომელთაც ბრძოლის უნარი აღარ აქვთ და დასახიჩრებული არიან ნება ეძლევათ სამშობლოში დაბრუნებისა.

ტყვეების გაცვლა შეიძლება მოპირდაპირეთა მორიგებ — შეთანხმებით. ბრძოლის ველზე დარჩენილ დაჭრილების გაძარცვა მეტად სასტიკად არის აღკრძალული. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, როგორც ვიცით, დღევანდელმა მსოფლიო ომმა საზღვარს გადააჭარბა.

ბევრი რამ უცნაური ხდება. მაგ. აღკრძალულია ეკლესიებისა, საავადმყოფოებისა და სხვა დაწესებულებების ხელის ხლება, მიუხედავად ამისა ხშირად შეხვდებით გაზეთებში საყვედურს, ამა თუ იმ სახელმწიფომ ეკლესიებს ზარბაზნები დაუშინა და სხვა. ეს იმის გამო ხდება, რომ ხშირად ასეთ დაწესებულებით სამხედრო მიზნებისთვის სარგებლობენ. მაგალითად მე თითონ მახსოვს, რომ ჩვენმა ზარბაზნებმა შარშან ბრძოლის დროს ჩვენივე ეკლესია დაანგრია სუვალკის გუბერნიაში. ეს მისთვის მოხდა, რომ, გერმანელებს ეკლესიიის სამრეკლოზედ ომის მეთვალყურეები მოეთავსებინათ და იქიდან ისინი ტელეფონით ხელმძღვანელობას უწევდნენ თავიანთ არტილერიის სროლას. მახსოვს ისიც, რომ 1914 წელს გიორგობისთვეში, როდესაც პრუსიის საზღვარი გადავლახეთ და პრუსიაში შევედით არსად იმ სახლისათვის ჩვენ სალდათებს ხელი არ უხლიათ, სადაც მცხოვრებლები დარჩენილიყვნენ და მშვიდობიან ცხოვრებას მისცემდნენ, სამაგიეროდ კი უპატრონოდ მიტოვებულ სახლ-კარსა და ქონებას, მოგეხსენებათ ეშმაკები ეპატრონებოდაო.

ავ. აბესაძე.

* * *

წავიკითხეთ „ზვირთი“ს შეგნებულ ჟურნალისტის ბ-ნ ს. დადიანის ბრაზმორეული „პასუხები“. ამ „პასუხებმა“ უფრო გააძლიერეს, დადიანის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებანი შესახებ მის პოლიტიკური უხასიათობისა და ზნისა. რა დაგვიმტკიცა ბ. დადიანმა თავის „პასუხებით“:

1. ისა, რომ სოციალისტი ს. დადიანი იყო მდივნად ანტისოციალისტურ ჟურ, „კლდისა“ ე. ი. ბევრ შემთხვევაში ფაქტიური რედაქტორიც „კლდეში“ მოთავსებულ ნაციონალისტურ წერილებისა.

2. რომ სოციალისტი ს. დადიანი, ჩვენში გაბატონებულ სოციალიზმის იდეასა და პრაქტიკასთან ულმობელად მებრძოლ ორგანოს ფურცლებზე, ათავსებდა რა სოციალისტურ სულის წერილებს და ამით ჩვენთან ერთად ებრძოდა, როგორც სოციალ-დემოკრატებს, ისე თავის აწინდელ მეგობრებ სოციალისტ-ფედერალისტებს.

3. რომ „შეგნებულ“ და „მორალიზმის მოქადაგე“ ჟურნალისტ ს. დადიანს „ზვირთის“ ფურცლების საშუალებით მკითხველ საზოგადოებაში თავის უწმაწურ ლანძღვა — გინების „საბუთების“ გამოტანით თუ რა გათახსირების შეტანა შეუძლიანთ იდეიურ ბრძოლაში იქ-აქ „ყოფილ“ ჟურნალისტებს á la დადიანი.

4. და რომ დაურღვევლად დასტოვა ჩვენი დასკვნაც, რომ ასეთ „ყოფილ“ ხალხს არ უნდა ჰქონდეს არც უფლება და არც პრეტენზია ვისმე პოლიტიკური გონიერებისა და ზნეობის გაკვეთილები აძლიოს.

ამით ვათავებთ. მეტი აღარაფერი გვეთქმის. და საზოგადოთ არც მომავალში ვაპირობთ „ზვირთის“ ამნაირ „სოციალისტებთან“ რაიმე კამათს.

დ. კახელი.

# შიო მღვიმელი და მისი პოეზია

(დასასრული. იხ. „საქ.“ № 35)

1887 წელს შიო ეწვია ტფილისს. აქ იგი მიიღეს წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სადაც დაჰყო 1909 წლამდე. იმ წლიდან მოყოლებული შიოს კალამი არ დამდგარა, და დღესაც, ამ ოცდაათი წლის სამწერლო მოღვაწეობის შემდეგ, იგი უმაწვილური თავ-გამოდებით იმავე სიყვარულით განაგრძობს ბავშვებთან მეგობრობას, მათ აღზრდა გაფურჩქვნას.

თავის ავტობიოგრაფიაში შიო მღვიმელი ვაჟას გარდა იხსენიებს აკაკის, ილია ჭავჭავაძეს, რაფ. ერისთავს: იმათი ნაწერებით ვიზრდებოდიო. განსაკუთრებით მას მოსწონდა სევდიანი ლექსები, „რომელ ლექსშიაც მეტი ნაღველი და სევდა იყო. ჩემი გულიც იქ პოულობდა სიამოვნებასაო,“—ასე გვეუბნება მგოსანი. რატომ მოხდა ასე? ამის პასუხად თქვენ გაიხსენებთ მის ნაადრევ სიობლეს და ცხოვრებაში უბედობას. გარემოება კი დიდად მოქმედებს ადამიანზე. მართლაც, ჭირ. ში მყოფს რად უნდა ემღერებოდეს მხიარულად? და აი, იგი ამ სფეროში შლის ფრთებს; მაგრამ მისი სევდა, მისი ნაღველი ფართო გასაქანს ვერ ჰპოულობს, თითქოს ეძებს მოწოდების განსაკუთრებულ ასპარეზს. და მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს იგი წააწყდება ერთ ჯადოსნურ კერას, რომელიც საბავშვო არაკებს ამოსტყორცნის ნაპერწკლებიდან. მგოსანი მიხვდა, რა უნდა ეწერა, როგორ, რომელ სამსხვერპლოზე უნდა დაეწვა თავისი სევდა.

ოჰ, რა ბედნიერებაა მოწოდების კერის აღმოჩენა და საღვთო ცეცხლის გაჩაღება!

მგოსანი გაიხსენებს წარსულ ბავშვობას, მოიგონებს ტოლებს. მისი ნაზი გული დაეძებს უმწეო ობლებს, რომ თანაგრძნობით გაათბოს, ცრემლი შეუშროს მათ.

„ობოლი“ ხომ ობოლი მარგალიტია შეგვიძლია კიდევ ბევრზე მიუთითოთ მკითხველს. აი, თუნდა „პასუხი ბედისა“.*) მგოსანი შემოეყრება ბავშვს და უმალ თანაგრძნობით გამოეხმაურება:

„მითხარ ბალღო, რა გაწუხებს?
რასა სჩივი, რასა სტირი?
ჯერ ხომ ისევ პატარა ხარ,
განა რა გაქვს გასაჭირი.“

გაიმართება საუბარი. კითხულობთ, და უმანკო გასაჭირზე უნებლიედ ცრემლი მოგდით, და მგოსანთან ერთად კვნესით აღმოგხთებათ: „ვაი, ჩვენი ბრალი!“ იგი ვალალებს, რომ:

გულით მდიდარს; ჯიბით ღარიბს
ნუგეშიც კი გაუჭირდა
და საბრალოს ბალღთან ერთად
გული მწარედ აუტირდა!“

ასეთი ფერადების ხმარება ასწავლა ჩვენ მგოსანს ცხოვრების სიდუხჭირემ, პირადმა გამოცდილებამ. გული მისი ზღვაა თანაგრძნობისთვის. რა თქმა უნდა,—ეს დიდი ღირსებაა. შეიძლება მზგავსი თანაგრძნობით კიდევ ბევრი სხვაც იყოს აღჭურვილი; მაგრამ მარტო თანაგრძნობა როდი კმარა: საჭიროა ნიჭიც, რომ შევძლოთ თანაგრძნობა როგორმე გამოვხატოთ. საშვალება გამოხატვისა დიდთან და პატარასთან ერთი და იგივე როდია. საბავშვო ენა უფრო სიფაქიზეს მოითხოვს, მეტ სისადავეს. ეს კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. შიოს უდიდესი ღირსება სწორედ ის არის, რომ მან უფრო, ვიდრე სხვა რომელიმე ჩვემა მწერალმა, ადრევე აუღო ალღო საბავშვო ენას, შეიმუშავა მეტად სადა, უბრალო და ყველასათვის გასაგები სიტყვების ქსოვა. საოცარი ის იყო, რომ რამდენადაც დაუახლოვდა მიზანს, რამდენადაც მისმა ლექსებმა მიიღეს სადა სახე, განყენებული აზრები მარტივი ფორმებით შეიმოსნენ, იმდენად მისი ლექსი გაფაქიზდა, უფრო კეკლუცი, საამო მოსასმენი, კეთილ-ხმოვანი შეიქნა. ისე მოსჩანს, თითქოს შიო ლექსს კი არა სწერს, არამედ პირდაპირ ესაუბრება ბავშვებს, ცოცხალ სურათების დერციკად დამდგარა და ჯადოსნურ მაკრატლით საუცხოვო სურათებს თანა სჭრის და თან აფერადებს, უკეთ,— თვითონ მოსაუბრე ბავშვებს აფერადებინებს გამოჭრილ სურათებს. ეს კი ისეთი ხილოვნებაა, რომელზედაც კანტმა სთქვა, მაშინ მოვიწონებთ მას, თუ ბუნება თავის განსახიერებას ჰპოვებს მასშიო. და მართლაც, შიოს ლექსი მხატრულიც არის და ბუნებრივიც. თვითეულ სიტყვისა თუ ტაეპის წაკითხვაზე თქვენ კილოსა სცვლით. გრძნობთ, რომ აქ მგოსანს კი არ უწერია, არამედ უმღერია. მისგან დაწერილი სიტყვა მეტად ღარიბია, ერთფეროვანი. ამიტომ ცდილობს ლექსი მწიგნობრულ სფეროდან გამოიყვანოს და სიმღერისა და საუბრის საშვალებად გადააქციოს, ისე რომ ყოველ მის სიტყვას თან მოსდევენ ისეთი თანამსახურნი, როგორიც არიან—სახისა და ტუჩების მეტყველება. ხელების გაშლა, კილოს მიზან-შეწონილი აწევდაწევა. ამით კი ბავშვი არ იღლება, პირიქით—ხალისობს. ბავშვის გონება საზოგადოდ მწიგნობრულ ნაწარმოებების კითხვის დროს სთვლემს და მოწყენილობის ბურუსით იმოსება; ამას ვერ შეამჩნევთ შიოს ლექსებს. აქ ბავშვი ცელქობს, მისი გონება ოდნავადაც ირ იქანცება, მუდამ ცნობის მოყვარეობა იტაცებს, და ისე ერთობა, როგოგრც მინდორზე სხვადა სხვა ფერ ყვავილების კრეფის დროს.

მეორე დიდი ღირსება ის გახლავთ, რომ შიოს ლექსი პირდაპირ მხატვრობით იწყება, სურათის შენებით. მას ბევრი მითქმა-მოთქმა არ უყვარს, პირდაპირ საქმიანობს; აიღეთ, მაგალითად, „სამი ცელქიდან“ რომელიმე გმირი. აი, პირველს როგორ იწყებს:

„ერთხელ მამამ თავის გიგას
გაუკეთა კოხტა ციგა.
მეტის-მეტი სიხარულით
აღარ იდგა ფეხზე გიგა.
აცრიალა, ათამაშა,
ეალერსა დიდხანს შინა,
მაგრამ სახლში ყოფნა ცელქმა
მეტად მალე მოიწყინა:
გამოვიდა კარზე, ციგა
თოვლში გამოასრიალა...“ და სხ.

აქ სურათზე ჰხედავთ: მამამ ციგა გაუკეთა, გიგამ შინ ჯდომა მოიწყინა, მიდის საციგაოდ. ბავშვის ცნობის მოყვარეობაც იზრდება. „მერე?“—კითხულობს იგი განსაკუთრებით მაშინ, როცა, იგი მარტოდ-მარტო გასწევს მაღლობისკენ, ამაყად, ისე რომ „ამხანაგებს არც უყურებს, არც უძახის“. ბავშვიც აღტაცებულია. გიგასთან ერთად თითქოს ისიც ადის მაღლა. აგერ, აღსრულდა, და ჩვენი გიგა:

„. . . . . . მაღლიდან
გამოქანდა, ვით ისარი,
მოსრიალებს მხიარულად,
და მოქშუის როგორც ქარი“.

მაგრამ აქ არ თავდება არაკის საუცხოვო დასურათება; საქმე ის არის, რომ ბავშმა დაინახოს, თუ ეს ამაყი გიგა როგორ „გადიკოტრიალებს“ და, თოვლში ყირამალა ჩარჭობილი, როგორ დაიწყებს ფართხალს, ფეხებით თოვლის გვას, ვიდრე არ ამოვა და თვალცრემლიანი არ გაეშურება შინისკენ. არაკის დასასრული მტრედის ფრთებით დააფრენს ბავშვს. ყველა ეს ისე ცოცხლადაა დაწერილი, ნაამბობი, რომ ბავშვს სინამდვილედა აქვს წარმოდგენილი. და ასეთი ცელქები, ასეთი დასურათება ხომ თითქმის ყოველთვის საუცხოვოდ აქვს შესრულებული. „თამრო“, ანუ „ვანო“, და სხვა და სხვა: აი ის დაუვიწყარი ტიპები, რომელნიც დღესაც და მერმისაც ბავშვების საყვარელი გმირები იქნებიან.

ბავშვებთან დამეგობრებამ შიოს შესძლენა ერთი საიდუმლო გასაღები, რის შემწეობითაც ყოველიფერს ამოადგმევინებს ხოლმე ენას. აბა გადახედეთ მის ლექსებს, რა მრავალ-ფეროვანია, როგორ ყოველისფერი ცოცხლობს, საუბრობს: წყეული მელია, მურია, კატები, ჩიტები, მერცხლები, ქორი, ქათმები, გაფხვერილი ინდოურები, ოფოფი, მოლაღური, მამლები, ათასგვარი მწერი,—ყველა კეთილშობილურ მასალად არის ნახმარი, ყველა ლაპარაკობს: ბავშვებთან ერთად ინაწილებენ სიხარულსა თუ მწუხარებას. მიზანი კი ყოველთვის ერთი და იგივეა: აღზარდოს და გააფაქიზოს ბავშვის გრძნობანი, აამაღლოს იგი, რომ ცხოვრებას ჯანსაღად შეხვდნენ, მომზადებულნი. ჩიტის ტყვეობა, ამოკვენესა, „თუ რა კარგია ლაღად ჰაერში განავარდება“, კურდღლის ცრემლები, დათუნას სისულელე, შალვას სიცელქე, „ძუნწის“ საგმობი საქციელი, მოუსვენრობა, ხოლო „ოქროს თავთავის“ ძიება და ზღაპრულად მისი შეძენა, თქმა არ უნდა, ბავშვს ერთგვარ ნათლობას უწევს, აკეთილშობილებს, მომავალში სასარგებლო ადამიანად ჰხდის...

მაგრამ შიოს ბავშვების იქით მწერლობის სხვა ასპარეზიც არ დავიწყნია. დრო გამოშვებით ცოტას, მაგრამ მაინც დიდებსაც მადლიან სიმღერას გაგვაგონებს ხოლმე. აღსანიშნავია, რომ ამ დროს შიოს ნაღველი მუდამ შებორკილ სამშობლოს ბედს დაჰქვითინებს, მისთვის ლოცულობს, მის თავისუფლებას ავედრებს ღვთისმშობელს. ვინ არ იცის, მაგალითად, მისი „გმირის სიმღერა“, ვის არ წაუკითხია საუცხოვო პოემა „მუხა“? და მუხა ხომ ეს ჩვენი ფრთა-შეკვეცილი სამშობლოა! მისი ქვითინი,—ეს ხომ თვით ჩვენი მშობელი ქვეყნის დაჭრილი გულის კვნესა არის! იგი გულდაწყვეტით ესაუბრება კლდეს, ასეთი ტყე მერტყა გარშემო, ასე და ასე ვიყავი შემკული, მაგრამ სადღაა ყველა ეს?—ეკითხება და თითქმის სასოწარკვეთილებით დაასკვნის:

„. . . . გაჰქრა, წავიდა ყოველი,
გარს ჭია-ღუა მარტყია...
რაღა სიკეთეს მოველი?
ტყე-ჭალა შემომიკაფეს,
მეც არ მარჩენენ შტოებსა,
რკოთი რომ ღორებს აძღობენ,
ფოთლებს უყრიან ხბორებსა“...

ამ შეურაცხყოფას, ამ ჩაბალახ-მოხდას ითმენს ბებერი მუხა, ჩვენი სამშობლო. მაგრამ მგოსანი როდია მთლად სასოწარკვეთილი. აი, სალი კლდის სიტყვებით როგორ ანუგეშებს მუხას—სამშობლოს:

„რას დაგაკლებენ? ყლორტები
იბარტყვენ, დაიზრდებიან:
ტანს აიყრიან ჭალა-ტყედ,
გარშემო დაგიდგებიან;
კვლავ ჰაყვავდება სიცოცხლე
შენ შორის ედემურადა,
ტირიფი, წაბლი და რცხილა
გადაგვეხვევა ძმურადაო“, და სხვ.

მაგრამ, როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, შიო უმთავრესად ბავშვების მეგობარია. მის ლექსთა სილამაზე თვალწინ გვიშლის მაისობა დღეს ჟუჟუნა წვიმით აბიბინებულ ველ-მინდორს, რომელსაც შარავანდედად ცისარტყელა გადარკალვია. როგორც იქ, ისე ამ ლექსების მდელოზე ჩვენც დავნავარდობთ ფრინველებთან ერთად, ვიჭერთ პეპელებს, ათასგვარ მწერებს, ვკრიფავთ ყვავილებს და გვსურს ყველა ეს სიყვარულის გიდელად გავფურჩნოთ, შევკონოთ, ერთად და ძღვნად მივართვათ ამდენ სიამის აღმძვრელ მგოსანს.

არა, შიო ღვიმელმა სიცოცხლითვე ღირსეულდ დაიდგა ხელთუქნარი ძეგლი, რომელზედაც ანგელოზებრივ ბავშვთა სახელით წარწერილია: „ნორჩ სულთა უმანკო სიყვარული“.

დ. კასრაძე.

*) იხილე „ჯეჯილი“, № 2, თებერვალი, 1914 წლისა.

* * *

მაშინა ვარ ბედნიერი,
მხოლოდ მაშინ სტკბება გული,
როცა მესმის ნორჩი ყრმების
სიცელქე და ჟრიამული!

ცხოვრებისგან გადატეხილს
და ნახევრად ხელ ჩაქნეულს,
ველარავინ ველარა მცნობს
მე ბალღებში ბალღად ქცეულს.

სიხარულით ვუერთდები
ვხტუნაობ და ვცმუკავ გულში,
ჩემს დღეთა თვლას როდიღა ვგრძნობ
მათს მზერა და სიყვარულში...

ვისიც უნდა იყოს ბალღი
ჩემთვის განურჩეველია,
ვიცი მისი ნორჩი გული
სიყვარულის მფრქვეველია.

ყვავილი რო გაიშლება,
რაკი დაჰკრავს მას მზის თვალი,
მეც იმ გვარად მახალისებს
ყრმების კარგი მომავალი...

ცხოვრებისგან გადატეხილს
და ბედისგან მწარედ ძლეულს,
ვინ წამართმევს ამ სიმდიდრეს,
ვინ წამართმევს ამ განძეულს? *)

შიო მღვიმელი.

*) ეს ლექსი თვით ავტორს ჰსურდა წაეკითხა დღესასწაულის დღეს, ნიშნად მადლობისა, მაგრამ გრძნობა მორეულმა ვერ შესძლო.




ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ მოხდა აზრუმის აღება

აზრუმის აღება ასე მოხდა: პირველად დაემხო სიმაგრე **ყარაბიუმეკი**, მეორე დილას **დალაგეზი**. შემდეგ **ჩობაკ-დედე**. ამ ბურჯების დამხობას მოჰყვა სიმაგრის პირველ ხაზზე ექვსი ბურჯი, მათ შორის **უზუნ-ახმედი** და კაბურგის ბურჯები.

მეორე წყების ხუთი სიმაგრე, როგორც სჩანს, უბრძოლველად აიღეს რუსებმა. **პალანტეკენის** სიმაგრეებს რუსის ჯარმა გვერდი აუხვია. არც ქ. აზრუმის გალავანთან ყოფილა ბრძოლა. ცეცხლი გაჩენილა თვითონ ქალაქში და არა სიმაგრეთა ბურჯებზე. როგორც სჩანს, აზრუმის სიმაგრეებს იცავდა ოსმალთა ჯარის უკან დარჩენილი ჯარი, დანარჩენი მთელი ჯარი კი წინდაწინვე გაეყვანათ. ეს აზრუმის პირველი სიმაგრის აღების დროსვე შეამჩნიეს. შესაძლებელია ოსმალები აზრუმიდან 15 ვერსის მოშორებით გამაგრებულიყვნენ—სიმაღლეებზე, რომელიც აზრუმის ველს დასცქერის. შესაძლებელია აქ კვლავ მოხდეს ბრძოლა. ჯერ არავითარი ცნობები არ არის აზრუმის მეციხოვნე ჯარის უფროს ახმედ-პევზი-ფაშას შესახებ, რომელიც მე-9 კორპუსის სარდალია. არც კავკასიაში მოქმედ ოსმალეთის ჯარის სარდლის მახმუდ-ქიამილ-ფაშას შესახებაა ცნობები.

# კავკავის ამ-ბარბი

კავკავში 1000-ზედ არა ნაკლები, და იქნება ბევრადაც მეტი, კომლი ქართველი მოიპოვება ადგილობრივად მკვიდრი და მოსული საკმაოდ დიდი საზოგადოება განათლებულთა და შეძლებულთა. მაგრამ, ამის და მიუხედავად, ნამეტან უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება აქაური ქართულ კულტურულ დაწესებულებათა საქმე. მე მაქვს მხედველობაში უმთავრესად აქაური ქართული თეატრის და სკოლის საკითხი. ეს ორი დაწესებულება იმყოფება ქ.შ. წ.-კ. გ. ს. აქაურ განყოფილების გამგეობის ხელში, რომელიც დიდს უმოქმედობას იჩენს.

**თეატრის საქმე** დღემდის მოუწესრიგებელია. წარმოდგენების გამართვა სრულებით შემთხვევითი ხასიათისაა. რამდენიმე თვის წინათ შეიკრიბნენ აქაური სცენის მოყვარენი, საკმაოდ მრავალრიცხოვანი, და თავისი გამგეობაც კი ამოირჩიეს. სცენის მოყვარეებმა სთხოვეს საზოგადოების გამგეობას თეატრის საქმე სცენის მოყვარულთა ხელში გადასულიყო. ესენი კისრულობენ ყოველივე სათეატრო ხარჯების გაძღოლას, გარდერობის თანდათან შევსებას, დეკორაციების გამრავლებას და თეატრის ყოველივე ნაკლის შესწორებას შეძლებისამებრ. ამისათვის სცენის მოყვარენი მოითხოვდნენ თეატრი რამდენიმე ხნით სრულებით განთავისუფლებულიყო სასწავლებლის სასარგებლოდ გადასახადისაგან ან, სანამ თეატრის აუცილებელი საჭიროებანი დაკმაყოფილებული იქნებოდა, ეს გადასახადი წმინდა შემოსავლის 20 პროც. მაინც განსაზღვრულიყო. ხოლო თუ საზოგადოების გამგეობა სცენის მოყვარეთა მოთხოვნილებას არ დაჰყვებოდა, მაშინ ამ გამგეობას თვითონ იმდენად მაინც უნდა შეეკეთებინა თეატრი პირველშივე, რომ წარმოდგენების თავისუფლად გამართვის დაწყება შესაძლებელი გამხდარიყო.

საზოგადოების გამგეობამ (სულ ერთია რომელ წევრის ზეგავლენითაც მოხდა) არა სცნო სასურველად თეატრის, ასე ვსთქვათ, ცალკე სექციათ არსებობა და არავითარი სურვილი არ დაუკმაყოფილა სცენის მოყვარეთა წრეს.

სცენის მოყვარენი მაინც შეეცადნენ წარმოდგენების დაწყებას ბ-ნ ლ. ბაღაშვილის რეჟისორობით და ბ-ნ ვ. ქუმსიშვილის თანაშემწეობით. სცენის თითქმის ყოველი მოუწყობლობის მიუხედავად რამდენიმე წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. მაგრამ დახე უბედურებას. ბაღაშვილი და ქუმსიშვილი ვერ მოთავსდნენ ერთად!

სასიამოვნოდ უნდა აღინიშნოს, რომ რეჟისორი ბაღაშვილიც და მისი თანაშემწე ქუმსიშვილიც საკმაო ენერგიის მქონე და საქმის მოყვარულნიცა ყოფილან. ქუმსიშვილი აქ დაბადებული და აღზრდილი, უმაღლეს სწავლა მიღებული ყმაწვილი კაცია; იგი პატარაობიდანვე შეთვისებია აქაურს ქართულს სცენას და კარგადაც იცნობს ადგილობრივ მოთამაშე ძალებს. ბაღაშვილი კი მოსული კაცია და, თუმცა მას ბ. ქუმსიშვილზედ არა ნაკლებად ესმის და უყვარს კიდეც თეატრის საქმე, მაგრამ..... ხელოსანია. „ნასწავლმა“ ინტელიგენტებმა არ მოისურვეს ხელოსნის ხელმძღვანელობა და მასთან ერთად სცენაზედ გამოსვლა,—თუ სხვა რამ მიზეზაა,—რამდენიმე წარმოდგენის შემდეგ უარი განუცხადეს ბაღაშვილს წარმოდგენებზედ მონაწილეობის მიღებისა. დარჩა მარტოდ ბაღაშვილი ნაკლებად განვითარებულ და გამოუცდელ სცენის მოყვარულთა ანაბარად. რაღა გასაკვირველია, რომ წარმოდგენები ძალიან სუსტად იდგმებოდა და ბევრიც ძალიან უკმაყოფილო დარჩა ბაღაშვილის ამისთანა წარმოდგენებისათვის (უნდა ითქვას, რომ ზოგი ყმაწვილი ძალიან არა საკადრის საშუალებასაც კი ჰხმარობდა, ოღონდ ბაღაშვილის წარმოდგენებისათვის კი როგორმე ხელი შეეშალა). ნამეტანი რომ გაუჭირდა (თუ გაუჭირეს) ბაღაშვილს საქმე, ადგა ისიცა და, რადგან მეტი გზა აღარა დარჩენოდა რა, მიანება წარმოდგენების მართვას თავი. ამას კი შედეგად მოჰყვა ის, რომ ეხლა ისევე აღარ იმართება წარმოდგენები, როგორც ბაღაშვილამდე იყო.

— რაღა გასაკვირველია, რომ არც აკაკის დღის აღსანიშნავად გაიმართა რამ კავკავში.

თუ ვსცდები ბ-ნ ქუმსიშვილთან და მის თანამოაზრეებთან, ვთხოვ მათ მართალი აღიარონ და გააშუქონ საგნის ვითარება, თუ რათ მიიძინა ასე უდროვოდ თეატრის საქმემ. უნდა ყველამ იცოდეს სინამდვილე, ეს საჭიროა საქმის გამოსაკეთებლად და მის კვლავ საწარმოებლად.

**ქართული სასწავლებელი.** ამ საგნის შესახებ ბევრი რამ ითქმის და უნდა ითქვას კიდეც, მაგრამ ეს იქნებ როგორმე სხვა დროს მოხდეს. ეხლა მე მხოლოდ მოკლედ მინდა აღვნიშნო, რომ რაც მეტი დრო გადის სასწავლებელს წარმატება აკლდება აღნიშნულია აგრეთვე, რომ მოწაფეთა რიცხვს წინანდელთან შედარებით ძალიან უკლია. ამ მოვლენის მიზეზი უმთავრესად 3-ით შეიძლება განისაზღვროს. 1) უპირველეს ყოვლისა სასწავლებლის წარმატება დამოკიდებულია მასწავლებლის ღირსებაზედ. ყოველი მასწავლებელი, განსაკუთრებით კი ქართული სკოლის მასწავლებლები და ისიც განაპირა ადგილებში, უნდა ჯეროვან სიმაღლეზედ იდგეს როგორც ცოდნით აგრეთვე განვითარებით და მოვალეობის შეგნებით. ყოველ შემთხვევაში გულწრფელი სიყვარულით უნდა იყვეს ქართველ ხალხის საქმისა დმი აღჭურვილი, ხალხში უნდა დადიოეს უნდა სცდილობდეს მასთან დაახლოვებას, მის გაცნობას. კავკავის სკოლის მასწავლებლები კი, საგნის ჯეროვნად ცოდნას ვინა სჩივის, ხშირად ზნე-დაცემულნიც კი ყოფილან.

# ქუთაისი

### „სინათლე"ს საზოგადოების კრება.

შაბათს, 5 თებერვალს, შავი ქვის მრეწველთა საბჭოში მოხდა „სინათლე"ს საზოგადოების არაჩვეულებრივი კრება. კრებას უნდა მოესმინა „სინათლე"ს ქართველ ქალთა სკოლის გამგის მოხსენება და ამოერჩია სამი წარმომადგენელი ქართულ კულტურულ საზოგადოებათა კავშირში გასაგზავნათ. და აგრეთვე გამგეობის და სარევიზიო კომისიის კანდიდატები კრებას დაესწრო საზოგადოების 50 წევრამდე. თავჯდომარედ დასახელებული იქმნენ: ივ. პურადაშვილი და ნაფიცი ვექილი ზაქარია მაჭავარიანი, მაგრამ მათ უარი განაცხადეს და ამის შემდეგ დასახელებული იქმნა ალ. კრინიცკი.

ფრიად საინტერესო მოხსენება წაიკითხა „სინათლე"ს სკოლის გამგემ ბ-ნ დიმიტრი უზნაძემ. მან მოკლეთ გააცნო საზოგადოებას „სინათლე"ს წარმოშობის ისტორია და ის პედაგოგიური პრინციპები, რომელზედაც არის დამყარებული ქართველ ქალთა სკოლის მოღვაწეობა.

„სინათლე"ს საზოგადოებას მეტად მოკლე, მაგრამ მდიდარი მატიანე აქვს. მარიამობისთვეში ამ საზოგადოების დაარსების აზრი დაიბადა, ენკენისთვეში დამტკიცებულ იქმნა მისი წესდება და 14 ენკენისთვესვე მოხდა სკოლის კურთხევა და უკვე 15 ენკენისთვეს სკოლაში სწავლა დაიწყო. პირველ ხანებში სკოლაში ოცდა ათამდე მოსწავლე იყო, რაც აიხსნება იმით. რომ ის გვიან გაიხსნა, როდესაც სხვა სასწავლებლებში სწავლა უკვე დაწყებული იყო, დღეს კი მოსწავლეთა რიცხვი ასამდის ადის. ქალთა სკოლის ტიპი ჯერ არ არის სავსებით შემუშავებული და ამ მხრივ წინასწარი მუშაობა სწარმოებს.

კრებამ ერთ ხმად მიიღო სკოლის გამგის მოხსენება და მომავალ კულტურულ საზოგადოებათა კავშირში გასაგზავნ წარმომადგენლების არჩევას შეუდგა.

თავმჯდომარე ალ. კრინიცკი წინადადებას აძლევს საზოგადოების წევრებს კანდიდატები დაასახელონ და ამასთანავე ამცნობს კრებას, რომ თბილისში მომხდარ კავშირის პირველ კრებისთვის „სინათლე"ს საზოგადოების გამგეობას არჩეული ჰყავდა სამი წევრი: კიტა აბაშიძე, პეტრე ყიფიანი და ალ. ლორთქიფანიძე, მაგრამ საზოგადოებათა გამგეობების მიერ არჩეული წარმომადგენლები მიღებული არ იყვნენ და კავშირის წესდების ძალით მისი წევრები არჩეული უნდა იქმნენ საზოგადო კრებებზედ.

**ბეს. ჯაიანი** მოითხოვს, რომ კავშირის წევრები არჩეულ იქმნენ ფარული კენჭის ყრით, ყუთების საშუალებით. ამის წინააღმდეგი არიან თავმჯდომარე, კიტა აბაშიძე და სხ. ისინი ამტკიცებენ, რომ ფარული კენჭის ყრა იქმნება თუ კანდიდატებს დაასახელებენ და შემდეგ ბარათებით მისცემენ მათ ხმას.

სხვათა შორის **კიტა აბაშიძეს** მაგალითები მოყავს იმის დასამტკიცებლად, რომ არჩევნები ყოველგან ასე ხდება. სახელმწიფო სათათბიროში ასე ირჩევენ და ჩვენ რა ვართო.

მას უპასუხებს **ალ. ახათიანი თ-დი ნიკ. ლორთქიფანიძე, ალ. იორაძე, ალ. ჯაფარიძე და სხ.** ესენი ამტკიცებენ, ფარული კენჭის ყრას თავისი იურიდიული ნორმები აქვს და მათი შეცვლა თუ გასადავება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ამის წინააღმდეგი არავინ არ არის. თავმჯდომარე მიზეზად სხვათა შორის ყუთების უქონლობას ასახელებს და თავის ძალით სწყვეტს სადავო საკითხს.

**აკ. ფაღავა** კავშირის წევრებათ ასახელებს კიტა აბაშიძეს, პეტრე ყიფიანს და ალ. ლორთქიფანიძეს. ასახელებენ აგრეთვე ივ. პურადაშვილს, ზაქარიხ მაჭავარიანს, ნიკ. ლორთქიფანიძეს, მაგრამ ესენი უარს აცხადებენ. ბარათებით ასახელებენ სამს კანდიდატს, რომელნიც ამორჩეული იქმნენ. ბარათებით დასახელებულნი აღმოჩნდნენ აგრეთვე ზაქარია მაჭავარიანი, ივ. პურადაშვილი, ნიკ. ლორთქიფანიძე, ალ. იორაძე და სხ.

ამის შემდეგ ისევ განახლდა კამათი არჩევნების უკანონობის შესახებ.

**ალ. ჯაფარიძეს** მოყავს მაგალითი, თუ ფაქტიურად რამდენად სხვა და სხვა გვარი შედეგები მოყვება ასეთს თუ ფარული კენჭის ყრით მომდგარ არჩევნებს. მას მოჰყავს მაგალითი, რომ სოც.-ფედერალისტების კანდიდატს ქალაქის გამგეობის წევრად დადასახელებულს წინასწარ დასახელებაზე ორჯერ ნაკლები ხმა მოუვიდა, მაგრამ ფარული კენჭის ყრით ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნა.

**ნიკ. ლორთქიფანიძე** აღნიშნავს, რომ მისი თანამოაზრეების სურვილი იყო, რომ მომავალ კავშირში „სინათლე"-ს საზოგადოების სახელით წასულიყვნენ არა მხოლოდ ერთი პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენელნი და ეს არ მოხერხდა იმის გამო, რომ თავმჯდომარემ არა სასურველ და უკანონო ზომებს მიმართა ამაზედ ალ. კრინიცკი მას უპასუხებს, რომ ის უპირატესობას აძლევს იმათ, ვინც შრომობენ და თუ სხვებს ჰსურს, რაიმე საზოგადოების წარმომადგენლად იქმნენ არჩეული უნდა იმოქმედონ და სხ. თავმჯდომარე სწყვეტს კამათს და კრება გადადის გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნებზედ.

**ივ. პურადაშვილი** აღნიშნავს: დღევანდელ კრებას ბევრი არ დაესწრო და იმიტომ, რომ კრების შესახებ განცხადება არ იყო ისე მ. თავსებული, როგორც ეს საჭირო იყო.

# დაბა-სოფლები

**ს. ბაზალეთი,** (დუშეთის მაზრა). სოფ. ბაზალეთი ერთი საუკეთესო სოფელთაგანია მთელი არაგვის ხეობაზე. რა მხრით გინდა, რომ ის არ იქცევდეს სამხედრო გზით მიმავალ მგზავრის ყურადღებას. მის მოხდენილს და კეკლუც ადგილ-მდებარეობას მეტ იერს აძლევს აღმოსავლეთ-სამხრეთის მხრით მდებარე ბაზალეთის ტბა. მიუხედავათ ამისა რამდენადაც წარმტაცია ს. ბაზალეთი გარედან, იმდენად დამაღონებელია მისი შინაგანი ყოფა-მდგომარეობა. მიზეზი ამისა უსწავლელობაა, შედეგი ამისა-კი ნივთიერი დაქვეითება, გაღატაკებაა—აქაური გლეხისათვის შემოსავლის წყაროდ გუთანი და ტყე იყო, ე. ი. პური და შეშა. კარგ მოსავლის დროს გლეხი პურს, გაჰყიდდა და ურმით შეშას ჩაიტანდა თბილისში გასასყიდად. ამ ბოლო დროს ეს წყაროც მოესპო. გლეხს: აღარც პურის მოსავალია, აღარც ტყეში უშვებენ არამც თუ გასასყიდ შეშის გამოსატანად, თავის ოჯახის საჭიროებისათვისაც-კი. ამ ომმა ხომ ცეცხლზე ნავთი დაუსხა. სოფელი დაცარიელდა, ძალზე გაჭალარებულებიც ომში წასვლის მოლოდინში არიან. აღარავის არაფერზე გული აღარ მიუდის. სასოწარკვეთილება და გულგატეხილობაა ყველგან გამეფებული. ამას ერთვის ათას-გვარი ბეგარა და მოთხოვნილება. ბოქაულ-მამასახლის-სტრაჟნიკების თვითნებობა და ხალხის ცემა-ტყეპა.

ამ დუხჭირ და სასოწარკვეთილების ხანაში ბაზალეთს ნუგეშად მოევლინა საზოგადო მომხმარებელი მაღაზია. ეს მაღაზია შვიდი თვეა რაც მოქმედობს და ამ დროს განმავლობაში დიდი ამაგი გაუწია სოფელს; ყოველგვარ საქონელს ხელ-მისაწვდენ ფასში აწვდის. უმეტესობა მაინც უნდო თვალით უცქერის ამ მაღაზიას. მაგრამ, იმედია, პატიოსანი და მუყაითი მეთაურის და გამგეობის წყალობით ეს უნდობლობა მალე გაქრება. უსწავლელობისა და განუვითარებლობისა გამო თავისთავად გლეხს არაფრის სისწორით დაფასება და აწონ-დაწონვა არ შეუძლიან. ის მარტო თვალით ამოწმებს ყველაფერს, ჭკუა-გონებას არ მიმართავს ხოლმე, ანდა რო მიმართოს არა გამოდნება-რა. გლეხი სრულიად ბრმაა და ვისაც საით უნდა იქით გააქანებს და გადასჩეხამს. კოოპერატივის საქმეშიაც ასეა. გლეხი თავის-თავად ვერ სწონის მის სიავკარგეს. ის სხვას უგდებს ყურს და მის რჩევაზე დადის. აბა რა კარგს გაიგონებს ბაზალელი დუშელ-ვაჭრისაგან, რომლისთვისაც კოოპერატიული მაღაზია მისი ყელის გამომჭრელი ბასრი სამართებელია, ეს კარგათ ნაგრძნობი აქვთ ამ „გლეხის გულშემატკივარ" დუშელ ს. ამირაღიანს, ზ. დალაქიას, გ. ოსიპიანს და ძმათა მისთა და ამიტომაც არ იშურებენ გლეხებისთვის თავის მოწყალე და გულკეთილ რჩევა-დარიგებასა. სულ ტყუილია მათი ეჭვები, კოოპერატიულ დაწესებულებათა ტალახში ამოსვრა და სხვა. ამ გვარი დაწესებულება სოფლებისათვის უებრო მალამო და წამალია. ხოლო ჩარჩ-ვაჭრებისათვის საწამლავი და სახრჩობელა. საჭიროა სიფხიზლე. გამჭრიახობა, მუყაითობა, ნდობა და ერთობა.

**ბაზალეთელი.**

---

**სოფ. ხციხი.** (გომის საბოქაულო). ამ საზოგადოებაში ქურდ-ბაცაცების თარეშს საზღვარი არა აქვს. ისე დღე არ დაღამდება, რომ რაიმე ბოროტი შემთხვევა არ მოხდეს ან კაცის კვლით და ან ქურდობით. ხუთ თებერვალს ზემო აღნიშნულ სოფელში ადგილობრივმა მწყემსმა მცხოვრებმა მიხეილ ივანეს ძე ძამანაშვილმა, როდესაც საღამოთი შინ დაბრუნდა თავისი ცხვრით, ნახა, რომ ერთი თხა აკლდა, რომლის მოსაძებნადაც მაშინვე უკან გაბრუნდა. ძებნის დროს ტყეში უნახავს თავისი დაკლული თხა და მასთან ერთად დამკვლელებიც. ბოროტგანმზრახველებს ხსენებული ძამანაშვილი წაუყვანიათ ნახევარი ვერსის მანძილზე იმ ადგილიდან, სადაც თხა დაეკლათ და დაუხრჩვიათ. თხის ტყავი იქვე გვერდით დაუკიდნიათ მეორე დილას, როდესაც სახლში აღარ დაბრუნდა, წავიდნენ მოსაძებნად და იპოვნეს დამხრჩვალი, რომელიც ჩირგვზედ იყო მიბმული წნელით. ბოქაულმა გამოიძია საქმე და ეჭვით შეიპყრო ორი ადგილობრივი მცხოვრები.

— იანვრის 6-ში მტკვარში იპოვნეს დამხრჩვალი ზემო აღნიშნულ სოფელში მცხოვრები დიმიტრი ჯიქურაშვილი, მებორნე. ამბობენ, ისიც ძალით არის წყალში გადაგდებულიო. ქურდობა ისე გახშირებულია ამ საზოგადოებაში რომ თითქის აწერა შეუძლებელია. საჭიროა, რომ ასეთ მოქმედებას, ვისიც ჯერ არს, ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, რომ ადგილობრივმა მშვიდობიანმა მცხოვრებლებმა მოისვენონ ქურდების თარეშით.

**შალიკოს ნათლია.**

# პროვინციის ქრონიკა

### დ. ხონი.

მეფურნეების თავგასულობა კვლავ გრძელდება. გირვანქა წითელ პურს ჰყიდიან 7 კაპ. და თეთრს—8 კაპ.

ბაზრის ქუჩების უსუფთაობაზე დღემდის არავის ყურადღება არ მოუქცევია. დღეს კი ახალმა ბოქაულმა ყველა მედუქნეს გამოუცხადა, ქუჩები რაც შეიძლება სუფთად იქონიეთო.

### თელავი.

6 თებერვალს თელავში მოხდა თელავ-თიანეთის მაზრების წვრილი კრედიტის წარმომადგენელთა კრება სხვა და სხვა საკითხების განსახილველად. კრებამ დაავინა მოაწესრიგოს სურსათის გადმოტანის საქმეები. შაქარის საკითხი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

### ს. ერწო (თიანეთის მაზ.)

ომში გაწვეულ ჯარის კაცების ოჯახები დიდს გაჭირვებას განიცდიან.

### აბაშის საზოგად. (ქუთ მაზრა)

აბაშის საზოგადოების სასოფლო ადმინისტრაციამ, იანვრის პირველ რიცხვებში, მიიღო ხალხის მიერ არჩეულ სასურსათო კომისიისაგან შედგენილი დამშეულთა ოჯახების სია, რაც კაი ხანია წარდგენილია უმაღლეს მთავრობასთან. საჭიროა დამშეულისადმი მთავრობის ყურადღება, რადგან სიმინდი წელს ზოგიერთებს თითქმის სულ არ მოსვლია და შიმშილს განიცდიან.

### დ. კარაკლისი.

დ. კარაკლისში მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიან. პური და ხორცი არ მოიპოვება, მოთმინებიდან გამოსულმა მცხოვრებლებმა 3 იანვარს მოახდინეს ყრილობა, დაიბარეს ყველა ყასბები და განუცხადეს, აუცილებლად გასულიყვნენ დ. კარაკლისიდან და დუქნები მიეკეტათ. განიძრახეს გახსნან სავაჭრო დუქანი.

### ს. ტობანიერი (ქუთ. მაზ.).

31 იანვარს მოხდა წლიური მორიგი კრება ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობისა. 245 წევრიდან დაესწრო მხოლოდ ასი. 1915 წ. განმავლობაში ამხანაგობას წმინდა მოგება დარჩენია 221 მან.

### ს. დაბლა-საქარა (შორაპ. მაზ.).

როგორც იქმნა, დიდის შრომით და ვაი-ვაგლახით მოხერხდა უფასო წიგნსაცავის დაარსება.

### დ. სამტრედია.

სამტრედიის რაიონში ზოგან შიმშილობა უკვე დაიწყო. არ იციან ვის მიმართონ; იმედი აქვთ კოოპერატივის, მაგრამ მას ჯერ სიმინდი არ მოსვლია.

— ბოქაულმა დაიბარა ადგილობრივი ვაჭრები და გამოუცხადა, ნიხრს ზევით არ გაყიდოთ საქონელიო, თორემ სამი ათასი მანეთით დაგაჯარიმებთო.

### გ ო რ ი.

მომხმარებელ საზოგადოების „გორის კოოპერატივის" მაღაზია მოკლე ხანში გაიხსნება, შენობა უკვე დაქირავებულია ქალაქის შუა გულში.

— ყასბები ისევე თვითნებობენ და ხორცს 25 კაპ. და მეტშიაც ჰყიდიან გირვანქას.

### ფ ო თ ი.

მიუხედავათ იმისა, რომ ამ თვეში დიდძალი სანოვაგე შემოიტანეს ფოთში აქაურ ვაჭრების თავგასულობას საზღვარი არა აქვს. მაინც არავითარ სავალდებულო ნიხრს არ ემორჩილებიან.

### ქუთაისი.

ნავთითა და მაზუთით მოვაჭრე ი. ნარსია ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ 15 იანვრიდან შეჩერდება ქ. ბაქოში ყოველ გვარი საქონლის გაგზავნა, და იქიდანაც გადმოტანა მალე იზრუნონ, რომ ქალაქი უნავთოთ არ დარჩეს.

# მაჰმადიანთა ცხოვრება

პეტროგრადიდან ატყობინებენ გაზ. „ვაკტ"-ს როგორც გავიგეთ ფატეხ ბაიტაშევს განუზრახავს გამოსცეს ახალი გაზეთი „ისლამი და განვითარება" თანამშრომლებათ მოწვეულნი არიან: „შიარკი რუს"-ის ნარედაქტორალი მამედ აღა შახტახტოვი და რედაქტორ-გამომცემელი გაზ. „სიბირი"-სა იმამ ნავროზოვი. გაზეთის გამოცემას ეხმარება მრავალი მაჰმადიანთა დაწესებულებანი.

ერევნის მაჰმადიანთა მომხმარებელმა საზოგადოებამ ამოირჩია ახალი გამგეობა, რომელშიაც შედიან ახლგაზდა და ენერგიით სავსე მაჰმადიანები.

# მუშათა შორის

### ქ. ქუთაისის ძმ. ფირალოვების თამბაქოს ქარხნის მუშები

ომიანობისაგან გამოწვეულმა სიძვირემ საგონებელში ჩააგდო აქაური მუშები. ახლა ამათ სრულიად აღარ ყოფნით მცირე ჯამაგირები და იძულებულნი გახდნენ 7 იანვარს ქარხნის პატრონებისთვის ეთხოვად ჯამაგირების მომატება. მაგრამ ქარხნის პატრონებმა არ დააკმაყოფილეს მათი მოთხოვნილება და მუშებმა ხელი აიღეს მუშაობაზე, ამის შემდეგ უფროსებმა განაცხადეს: ამ კვირაში წლიური ანგარიში გვაქვს და ანგარიშის გათავების შემდეგ ყოველივე თქვენს სამართლიან მოთხოვნილებას შევასრულებთო, მუშებმაც განაახლეს მუშაობა.

### შორაპნის შავი ქვის გადამზიდავი მუშები

შორაპნის შავი ქვის მაღაროებში 200 კაცი მუშაობდა. მათი მდგომარეობა არც ომის დაწყებამდის იყო სასურველ დონეზე, დღეს კი სრულიად უმწეოა.

არც ერთი მათგანი არ კითხულობს ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, რომ გაეცნოს დღევანდელ მდგომარეობას.

# თეატრი და ხელოვნება

### ლორთქიფანიძის კონცერტი.

12 თებერ. საარტისტო საზოგად. საკონცერტო დარბაზში ახალგაზრდა მომღერალმა ვარდენ ლორთქიფანიძემ გამართა კონცერტი. საზოგადოდ კონცერტს უგულობა და უფერულობა ეტყობოდა, მაგრამ საყურადღებო იყო თვითონ კონცერტის გამმართველი. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, მომღერალს ხმა მდიდარი აქვს. იგი არ არის მყვირალა და რეკლამისტი ადამიანი და ამიტომაც ასე უჩინარია ჩვენს ხელოვნების სფეროში. საზოგადოება თანაგრძნობით შეეგება ყოველს მის ნამღერალს და განსაკუთრებით კი ქართულ რომანსებს. უნდა შევნიშნოთ ერთიც: მის მდიდარ ხმას არ ჰშვენის ასეთი უმოძრაობა. სიცოცხლე, სიცოცხლე ყოველისფერში,— აი რა! მისი ხმის ნაზი მოდულაციები უსიცოცხლო მეტყველების გამო ყოველ ეფექტსა ჰშლიდა. მაგრამ ჩვენ სრული იმედი გვაქვს, მისი უტყუარი ნიჭი დადებითია და იგი უთუოდ საგრძნობელი ძალა იქმნება მომავალში ჩვენს მუსიკის დასამშვენებლად.

**დ. კ**

---

### თ ბ ი ლ ი ს ი

კვირას, 14 თებერვალს, **სახაზინო თეატრში** დიდი ზეიმით იქმნა გადახდილი შიო მღვიმელის დღესასწაული.

— კვირას, 14 თებერვალს, **სახალხო სახლში** სცენის მოყვარეთა წრემ წარმოადგინა „ქრისტინე" ე. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული პ. ირეთელის მიერ.

— კვირას 14 თებერვალს, **ნაძალადევის** თეატრში ა. გოგაშვილის რეჟისორობით წარმოადგინეს აკაკის „თამარ ცბიერი".

— დღეს 16 თებერვალს **სახალხო სახლში** მსახიობთა ამხანაგობა წარმოადგენს „მადამ სან-ჟენს".

— ე. ნინოშვილის მოთხრობა „**სიმონა**" გადაკეთა პიესად ჰიჭიკო გელეიშვილმა და გადასცა სახალხო სახლთან არსებულ სცენის მოყვარეთა წრის გამგეობას.

### ქ უ თ ა ი ს ი.

ალ. ყაზბეგის რომანი „**მოძღვარი**" გადაუკეთებიათ პიესად და ახლო მომავალში განზრახვა აქვთ დასდგან ქუთაისის სცენაზე.

— დამსახურებული მსახიობი ქალის ელ. ჩერქეზიშვილის სადღესასწაულო წარმოდგენამ ქუთაისში საუცხოვოდ ჩაიარა. მოდღესასწაულეს დიდის აღფრთოვანებით შეხვდა ხალხი, მრავალი საჩუქრები მიართვეს და გრძნობიერი სიტყვებიც უთხრეს. თეატრი ყვავილებით იყო მორთული. შემოსავალმა 560 მანეთს გადააჭარბა.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(ადგილობრივ თბილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | 8.53 საღ. |
| „ | საფ. „ | 3 | 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | 10.20 საღ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | 12.8 დილ. |
| „ | სამგ. „ | 8 | 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 11.13 ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | 9.30 საღ. |
| „ | სამგ. „ | 10 | 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | 7.41 საღ. |
| „ | სამგ. „ | 7 | 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 8.8 დილ. |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ტფილისიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ | 23 „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ | 43 „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ | 42 „ | „ |
| იორიდან | 11 „ | 35 „ | „ |
| საგარეჯოდან | 12 „ | 17 „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ | 15 | დღის |
| მელაანიდან | 2 „ | 37 „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ | 08 „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ | 58 „ | „ |
| თელავში მიდის | 5 „ | 35 „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ | 18 „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ | 50 „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ | 15 „ | „ |

**თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ | 45 „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 „ | 46 „ | „ |
| მელაანიდან | 12 „ | 02 „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ | 13 „ | დღის |
| საგარეჯოდან | 2 „ | 15 „ | „ |
| იორიდან | 2 „ | 53 „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ | 31 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ | 46 „ | „ |
| თბილისში მიდის | 5 „ | 01 „ | „ |
| წნორის-წყლიდან | 9 ს. | 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ | 46 „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ | 16 „ | „ |

მოკლე ხანში ხელის მოწერით გამოვა

# პიკნა-ფშაველის

პოემათა და ლექსთა კრებული—ავტორის სურათით, ბიოგრაფია-წინასიტყვაობით და **დ. კასრაძის** კრიტიკული წერილით.

**ეღირება ათ შაურად.**

**ხელის მოწერა შეიძლება**—თბილისში: „თეატრი და ცხოვრების" რედაქციაში; **ალ. შარიკაძესთან**—ტრამვაის მოსამსახურეებში; **საშუალო სასწავლებლებში; გ. ქუჩიშვილთან**—ქ. კულტ. მოყვ. საზ.; **ალ. ძაძამიასთან**—რკინის გზის სახელოსნოში და კერძო აგენტებთან. **თელავში—ნ. გოგოლაძესთან**—წ.-კ. გამ. საზ. მაღაზ.; **თიანეთში—ი. რიბალაშვილთან**—აფთიაქში; **გორში—თამ. მაკალატიასთან; ჩოხატაურში**—აფთ. ცინცაძესთან; **პეტროგრადში—სტუდ. ცირგილაძესთან; ხარკოვში**—სტუდ. ალ. გრიგოლიასთან; **დორპატში—სტუდ. გრ. ხერხეულიძესთან; მოსკოვში**—სტუდ. **ხაჩიძესთან** და სხვა დაბა-ქალაქებში.

---

# ჯეჯილი

**საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი**

**ოცდა მეშვიდე წელიწადი**

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ. გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის

## ჟურნალი „ჯეჯილი"

თბილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ., ხელის მოწერა მიიღება თბილისში—ჯეჯილის რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5.) რედაქციაში ისყიდება ყველა 26 წლის ნომრები და რედაქციის გამოცემული საყმაწვილო წიგნები.

**ფოსტის ადრესი:** Въ Тифлисъ въ Ред Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили"

რედაქტორ-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

---

**წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა**

## „ახალი სიტყვა" („Новая рѣчь").

**ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

---

## თევზის მრეწველნი

# ძმ. მეგველიძეები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოხნი**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.